ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №470858

ნომერი: AR197734

თარიღი : 11.12.2012

გაცემის თარიღი : 14.12.2012

გაცნობის თარიღი : 21.12.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ნ. ჩხეიძე , N37-სა და N43-ს შორის , (ნაკვეთი N62/12) / ქალაქი თბილისი , ქუჩა ნ. ჩხეიძე , N 43 / ქალაქი თბილისი , ქუჩა ნ. ჩხეიძე , N37-სა და N43-ს შორის , (ნაკვეთი N62/11) / ქალაქი თბილისი , ქუჩა ჩხეიძე , N 43 , მიმდებარედ ნაკვეთი 62/014;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ავთანდილ ღელეყვა პ/ნ 33001012851
- ოზურგეთი ს. ნატანები

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქთბილისისმერიისსსიპ– ქალაქთბილისისარქიტექტურისსამსახურის23.07.2012 #275865 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 11/12/2012 წ. AR197734 განცხადებით მომართა ავთანდილ ღელეყვამ და მოითხოვა 23.07.2012 #275865 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა, კერძოდ საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობის, კონფიგურაციის, საკადასტრო კოდის შეცვლა.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ #01.16.06.062.013 საკადასტრო ერთეულზე (1104 კვ.მ) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ასაშენებლად დამტკიცდა #275865 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები. საპროექტო ტერიტორიის სამშენებლოდ განვითარების ფუნქციური ზონაა საცხოვრებელი ზონა–5 (სზ-5). აღნიშნულ ზონაში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, დასაშვებია მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. განმცხადებლის მიერ სამსახურში წარმოდგენილი იქნა ახალი ამონაწერი და საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო ერთეული #01.16.06.062.015 ფართობი –1134კვ.მ), რომლის თანახმადაც შეცვლილია მიწის ნაკვეთის ფართობი,საკადასტრო კოდი და მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია.
რადგან საპროექტო მიწის ნაკვეთი მდებარეობს ქ. თბილისის განაშენიანების რეგულირების ზონის სზღვარში, მასზე სამშენებლოდ გამოყენების პირობები დადგენილი იყო საქართველოს კულტურის და ძეგლთა დაცვის სამინისტროს და ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის წარმომადგენელთაგან ქალაქ თბილისის მერიაში შექმნილი სათათბირო ორგანოს – გაერთიანებული სამეცნიერო–მეთოდური საბჭოს სხდომის დადებითი დასკვნის საფუძვლად, რომლის წევრთა რეკომენდაციით ქალაქთმშენებლობით პირობებში ფიქსირდებოდა შენიშვნა ნინო ჩხეიძის ქუჩის მხრიდან არსებული ფასადის სართულიანობის შეზღუდვის თაობაზე. რადგან მიწის ნაკვეთის ფართობის გაზრდის შედეგად მოხდა ასევე მიწი სამშენებლო რესურსის მომატება და გაიზარდა საპროექტო ობიექტის მოცულობა, საკითხი უკვე ახალი ესკიზის საფუძველზე განიხილა ზემოაღნიშნულმა საბჭოს #47 20.11.2012 სხდლომამ. რომელზეც გადაწყდა დადებითად. აღნიშნულის გათვალისწინებით ქალაქთმშნებლობითი თვალსაზრისით მიზანშეწონილად ჩაითვალა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში დაფიქსირებული შენიშვნის გაუქმება.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

ვინაიდან, კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საკადასტრო ერთეულის ცვლილება უნდა აისახოს სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დამკვეთის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 23.07.2012 #275865 გადაწყვეტილებით დამტკიცებული სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატოს ახალი ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო გეგმა (საკადასტრო ერთეული #01.16.06.062.015 ფართობი –1134კვ.მ);
2.შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 23.07.2012 წ. #275865 გადაწყვეტილებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: მიწის ნაკვეთის ფართობი მიეთითოს-1134 კვ.მ., საკადასტრო კოდი დაფიქსირდეს-#01.16.06.062.015;
3.გაუქმდეს შენიშვნა შენობის სართულიანობის შეზღუდვის თაობაზე;
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 23.07.2012 #275865 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან ერთად;

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.